დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი №34
2011 წლის 16 მარტი

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ივ ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში – უნივერსიტეტი) საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) წარმოადგენს უნივერსიტეტის დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს.
2. დეპარტამენტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონებით, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, უნივერსიტეტის წესდებით და წინამდებარე დებულებით.
3. დეპარტამენტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე, ასრულებს კანონით გათვალისწინებულ, რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ მოვალეობებს.

მუხლი 2. დეპარტამენტის საქმიანობის სფერო, ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

1. დეპარტამენტის ძირითადი საქმიანობის სფერო და ამოცანაა უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის უზრუნველყოფა, მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებთან მჭიდრო თანამშრომლობის დამყარება, სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირების ხელშეწყობა, უნივერსიტეტის სრულფასოვანი ჩაბმა ბოლონიის პროცესში და მისთვის საერთაშორისო აღიარების მოპოვებაზე ზრუნვა.
2. დეპარტამენტის ფუნქციებია:

ა) პარტნიორული ურთიერთობების დამყარება მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებთან;
ბ) მნიშვნელოვან საერთაშორისო ორგანიზაციებში, ქსელებსა და კავშირებში უნივერსიტეტის და/ან მისი ცალკეული ფაკულტეტის გაწევრიანება;
გ) რექტორისა და ადმინისტრაციის წევრების საქმიანი ვიზიტების დაგეგმვა ორგანიზება;
დ) სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა მობილობის ხელშეწყობა;
ე) გაცვლითი პროგრამებისათვის კანდიდატების შესარჩევი კონკურსების ორგანიზება;
ვ) გაცვლითი პროგრამების ფარგლებში ჩამოსული ან/და გაგზავნილი სტუდენტებისა და პროფესორების მომსახურება;
ზ) ქართველ სტუდენტთა მომსახურება, რჩევა-რეკომენდაციის გაწევა საზღვარგარეთ სასწავლებლად გამგზავრებასთან დაკავშირებით;
თ) სასწავლო-სამეცნიერო პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიღება-გავრცელება;
ი) პარტნიორ უნივერსიტეტებთან და ორგანიზაციებთან უნივერსიტეტის შესაძლებლობების რეკლამირებაზე ზრუნვა;
კ) უნივერსიტეტის პოტენციური მომხმარებლების (სტუდენტების) მოზიდვა უცხოეთიდან;
ლ) უცხოელი სტუდენტებისათვის ადეკვატური სასწავლო და საცხოვრებელი პირობების შექმნა;

მ) საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსსა და უცხოურ ორგანიზაციებთან, ფონდებთან, საინფორმაციო ცენტრებთან მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობა;
ნ) საერთაშორისო პროექტების მოძიება და მასში უნივერსიტეტის ჩართვაზე ზრუნვა;
ო) პარტნიორი უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო დაწესებულებების დელეგაციების მიღება-მასპინძლობის ორგანიზება;
პ) უნივერსიტეტში საერთაშორისო კონფერენციების, სემინარებისა და მსგავსი ღონისძიებების ორგანიზება;
ჟ) დეპარტამენტის ვებ-გვერდის საინფორმაციო უზრუნველყოფა;
რ) კორესპონდენციის წარმოება და სისტემატიზაცია;

მუხლი 3. დეპარტამენტის სტრუქტურა და ხელმძღვანელობა
1. საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი წარმოადგენს უნივერსიტეტის ორგანიზაციულ-სტრუქტურულ რგოლს, რომელსაც ხელმძღვანელობს დეპარტამენტის უფროსი.
2. დეპარტამენტის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. დეპარტამენტის უფროსის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს დეპარტამენტის უფროსის მოადგილე.
3. დეპარტამენტის უფროსი:
ა) საერთო წესით ხელმძღვანელობს დეპარტამენტის საქმიანობას;
ბ) რექტორისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭების საფუძველზე წარმოადგენს უნივერსიტეტს უცხოეთში სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს;
გ) ადგენს ანგარიშს წლიური საქმიანობის შესახებ;
დ) მოქმედებს დეპარტამენტის სახელით და წარმოადგენს დეპარტამენტს მესამე პირებთან ურთიერთობებში განსაზღვრული უფლებამოსილებების ფარგლებში;
ე) ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს კონტრაქტით მოსაწვევ სხვადასხვა მიმართულების თანამშრომელთა კანდიდატურებს საქმის სპეციფიკის გათვალისწინებით.
ვ) დეპარტამენტის კომპეტენციით განკუთვნილ საკითხებზე ამზადებს წინადადებებს და წარუდგენს ხელმძღვანელობას დადგენილი წესით გადაწყვეტილებების მისაღებად;
ზ) პასუხისმგებელია დეპარტამენტის საქმიანობის სწორად წარმართვაზე, ვალდებულია რაციონალურად გაანაწილოს შესასრულებელი სამუშაო და გააკონტროლოს შესრულებული სამუშაოს ხარისხი;
თ) დეპარტამენტის თანამშრომლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს წინადადებებს დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიებების დაკისრების თაობაზე;
ი) ანაწილებს მოვალეობებს დეპარტამენტის თანამშრომლებს შორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებული თანამდებობრივი ინსტრუქციის შესაბამისად აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს
კ) ახორციელებს წინამდებარე დებულებით, უნივერსიტეტის ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებსა და დავალებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში.
4. დეპარტამენტის საშტატო განრიგით გათვალისწინებული თანამდებობებია: დეპარტამენტის უფროსი, უფროსის მოადგილე, მთავარი სპეციალისტი, უფროსი სპეციალისტი

მუხლი 4. დეპარტამენტის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია
დეპარტამენტის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 5. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.